შპს „პონტიკა" ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
მ. ჭიაურელის ქ. N22
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB – 0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) #14-ში მდებარე (ს/კ 01.14.05.008.158) საოფისე შენობის რეკონსტრუქციის საფუძველზე შესრულებული პროექტის („შენობის სართულიანობის გაზრდა ორი სართულით") კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PC 1439/12.04.2021

მომსახურეობის სფერო: სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 28.02.2021

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 11.04.2021

დამკვეთი: შპს „ქიუ ენჯინერინგი" ს/კ 405403077

საფუძველი: ხელშეკრულება N: 308/02-21; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტი და შემსრულებელის კვალიფიკაცია: რამაზ აფხაძე. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 34 წლის სტაჟით

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) №14-ში მდებარე საოფისე შენობის რეკონსტრუქციის საფუძველზე შესრულებული პროექტის („შენობის სართულიანობის გაზრდა ორი სართულით")კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება

წარმოდგენილი მასალები:

- ✓პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული შპს „არქიდეა"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ (ელ ვერისა).
- ✓პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, სქემატური პროექტის სახით (დამუშავებული შპს „ქიუ ენჯინერინგი"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. (ელ ვერისა).
- ✓ „ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №14, №14ბ, ს.კ. 01.14.05.008.219; ს.კ. 01.14.05.008.158 მიწისქვეშა ავტოსადგომების და არსებულ შენობაზე დაშენების პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა" (შემსრულებელი შპს „გენგეო") (ელ ვერისა).
- ✓ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი"-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, „ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი"-ს საპროექტო დოკუმენტაცია ცალკეული ნახაზების სახით. (ელ ვერისა).

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

✓სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01 – 09).

✓,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია", დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.

✓სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08).

✓СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები".

✓ს.ნ. და წ. "ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები" (პნ 03.01-09);

✓СНиП II-23-81* "Сталные конструкции"

✓ს. ნ. და წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.";

✓ინსპექტირების პროცედურა PNT/IB/IP-7.1-21-03-A44

გამოკვლევა

დავალების თანახმად ექსპერტიზა ჩაუტარდა ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) №14-ში მდებარე (მიწის საკადასტრო კოდი 01.14.05.008.158) საოფისე შენობის (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“-ს კვლევითი ინსტიტუტ „ტნიისა“-ს ყოფილი შენობა. შენობა 01/7 საკადასტრო გეგმის მიხედვით) თანამესაკუთრე შპს „თენ“-ის (ID ნომერი: 404891168) საკუთრებაში არსებულ ფართზე დაგეგმილი რეკონსტრუქციის, არსებულ შენობაზე სართულების დაშენების მიზნით („შენობის სართულიანობის გაზრდა ორი სართულით“) შესრულებულ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს. საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით:

_ არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შპს „არქიდეა“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი არქიტექტორი გ. ქევანიშვილი.

_ კონსტრუქციული ნაწილი სქემატური პროექტის სახით (დამუშავებულია შპს „ქიუ ენჯინერინგი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი ინჟინერი დ. ქევანიშვილი.

_ „ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. #14, #14ბ, ს.კ. 01.14.05.008.219; ს.კ. 01.14.05.008.158 მიწისქვეშა ავტოსადგომების და არსებულ შენობაზე დაშენების პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა“(შემსრულებელი შპს „გენგეო“-ს ინჟინერ-გეოლოგი მ. ბაბილოძე).

_ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი“-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, „ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი“-ს საპროექტო დოკუმენტაცია ცალკეული ნახაზების სახით.

რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას (იხილე შპს „ქიუ ენჯინერინგი“-ს „კონსტრუქციული დასკვნა“. 2021 წლის 10 თებერვალი) და უშუალოდ არსებულ შენობაზე დაშენების რეკონსტრუქციის პროექტს. არსებული შენობა შედგება ორი, ერთმანეთისაგან ანტისეისმური ნაკერით („Г/Д“ ღერძებთან) გამოყოფილი სწორკუთხა ნაკვეთურებისგან: პირობითად მარჯვენა ნაკვეთური („А/Д“ ღერძებს შორის) რომელშიც განთავსებული იყო ლაბორატორიულ-საწარმოო განყოფლება და პირობითად მარცხენა ნაკვეთური („Д/И“ ღერძებს შორის) რომელშიც განთავსებული იყო საკონსტრუქტორო განყოფლება. მთლიანად შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები გეგმაში 78,50X43,56 მ-ია (იხილე სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი“-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში დამუშავებული, „ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი“-ს „სარდაფის გეგმა“. ფურცელი А-1). შენობის მალი ორთავე მიმართულებით 6,0 მ-ია. მარჯვენა ნაკვეთური შვიდსართულიანია (მათ შორის ერთი სარდაფის

სართულით), სხვენში მოწყობილი ტექნიკური სართულით. სარდაფის სართულის სიმაღლე 5,70 მ-ია, ხოლო ზედა სართულებისა კი 3,30 მ. ტექნიკური სართულის მინიმალური სიმაღლე (გარე კედელთან) 1,0 მ-ია. ნაკვეთურის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 24,67 მ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ორი ორმარშიანი ანაკრები საფეხურებიანი რკინაბეტონის კიბეებით და სამი სამგზავრო და ერთი სატვირთო ლიფტებით. მარცხენა ნაკვეთური რვასართულიანია (მათ შორის ერთი სარდაფის სართულით, რომელიც გამოყენებულია ავტოსადგომად. თავდაპირველად აღნიშნულ სივრცეში განთავსებული იყო ნახევრადსარდაფი, ე.წ. „ტექნიკური იატაკქვეშეთი“, მაგრამ 3-4 წლის წინ სარდაფის დონეზე ჩატარდა რეკონსტრუქცია-გაძლიერების სამუშაოები, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ტექნიკური იატაკქვეშეთის სიმაღლის გაზრდა იატაკის ჩაღრმავების ხარჯზე და არსებული საძირკვლების გაძლიერება), სხვენში მოწყობილი ტექნიკური სართულით. სარდაფის სიმაღლე ამჟამად 3,20 მ-ია, პირველი სართულის 3,60 მ, ხოლო დანარჩენი ზედა სართულებისა კი 3,30 მ. ტექნიკური სართულის სიმაღლე ცვალებადია, შუა ნაწილში მაქსიმალური სიმაღლე 2,59 მ-ია, ხოლო მინიმალური კი 2,35 მ. ნაკვეთურის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 26,54 მ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთი სამმარშიანი ანაკრები საფეხურებიანი რკინაბეტონის კიბით. შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა კარკასულია და შესრულებულია შერეული რკინაბეტონის კონსტრუქციებით, მონოლითური რკინაბეტონის სვეტებითა და ანაკრები რკინაბეტონის რიგელებით. პირველი სართულის (თავდაპირველ პროექტში მოხსენებული როგორც ცოკოლის სართული. ფურცელი К-20) მარჯვენა ნაკვეთურის სართულშუა გადახურვები შესრულებულია 350 მმ. სიმაღლის, ИИ-64 სერიის, I-გამოშვების მიხედვით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით, ხოლო მარცხენა ნაკვეთურისა კი 220 მმ. სიმაღლის სპეციალური შეკვეთით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით. „თბილქალაქპროექტი“-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული ზემოხსენებული პროექტის (ფურცელი К-21) მიხედვით დანარჩენ სართულებზე სართულშუა გადახურვები შესრულებულია 220 მმ. სიმაღლის, „საქსახქალაქმშენი“-ს მიერ ИИСГ-03-02 სერიით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით, ხოლო სხვენში არსებული ტექნიკური სართულის გადახურვა შესრულებულია სახელმწიფო სტანდარტით ГОСТ 9491-60-ით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. ორთავე ნაკვეთურის სახურავი შესრულებულია რბილი, რულონური ბურულით. სახურავის მზიდ კონსტრუქციებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. პირობით -2,100 ნიშნულად მიღებულია პირველი ნაკვეთურის სარდაფის სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური

ნიშნული 557,590 (იხილე სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი“-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, „ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი“-ს „ჭრილი 1-1. ფურცელი A-14“). სამშენებლო ნორმებისა და წესების, СНиП II-A. 11-62 – „დატვირთვები და ზემოქმედებანი“-ის მე-3 ცხრილის თანახმად ლაბორატორიულ-საწარმოო ფუნქციის სათავსოების გადახურვებზე მოქმედი დატვირთვების სიდიდე აღემატება საოფისე სათავსოებში მოქმედ დატვირთვებს და შესაბამისად რეკონსტრუქციის შემდეგ (ტექნიკური სართულის დემონტაჟისა და მის ნაცვლად ლითონის მსუბუქი კონსტრუქციებისაგან შედგენილი ორი სართულიანი კარკასის მოწყობის შემდეგ) ნაკვეთურის კარკასზე რეკონსტრუქციამდე მოქმედი დატვირთვები დაახლოებით 7%-ით ნაკლებია რეკონსტრუქციის შემდეგ კარკასზე მოქმედ საბოლოო დატვირთვებზე (არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტები დეტალურადაა აღწერილი წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის განმარტებით ბარათში). არსებული შენობის კარკასის საანგარიშო მოდელის ანალიზი დაშენებამდე და დაშენების შემდეგ და მათი შედეგების შედარება მოცემულია ცხრილის სახით.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით ტერიტორიის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ოთხი ფენა: ნაყარი გრუნტის (ფენა 1) ქვეშ, რომელიც წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით (ფენის სიმძლავრე რელიეფის ზედაპირიდან 1,20÷3,50 მ-ია), გავრცელებულია თიხნარი, წარმოდგენილი მოყავისფრო–მოყვითალო თიხნარებით, ქვიშნარის შუაშრეებით, ხვინჭის და ღორღის ჩანართებით 20% - მდე (ფენა 2); ძლიერ გამოფიტული ღორღის დონემდე დასული, ქვიშაქვები და სუბარგილიტები, რომელიც წარმოდგენილია სახეშეცვლილი, ძლიერ გამოფიტული, მოყვითალო-მონაცრისფრო თიხოვანი ქვიშაქვებისა და მოყავისფრო–მოშავო ფირფიტისებური სუბარგილიტებისაგან (ფენა 3) და გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები (ფენა 4), რომელიც წარმოდგენილია ღიანაცრისფერი, მორუხო, მოყავისფრო, წვრილი და საშუალომარცვლოვანი, თხელი და საშუალოშრეებრივი ქვიშაქვებით თიხოვან ცემენტზე და მუქი, მოშავო ფერის სუბარგილიტებით. საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით უბნის გეოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი: I სგე – თიხნარი ღორღის ჩანართებით; II სგე _ ძლიერ გამოფიტული, ღორღისდონემდე დასული ქვიშაქვები და სუბარგილიტები და III სგე – გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილე პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

დამკვეთს დაგეგმილი აქვს, რომ განახორციელოს სხვენში მოწყობილი ტექნიკური სართულის კონსტრუქციების დემონტაჟი და მის ნაცვლად მოაწყოს ორსართულიანი საოფისე ფუნქციის სათავსოები ლითონის მსუბუქი კარკასით. დაშენებული ნაწილის კარკასის მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო სქემის, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება მუდმივ (საკუთარი წონა), დროებით ხანგრძლივ და დროებით ხანმოკლე (თოვლის, ქარის და სეისმური) ზემოქმედებაზე შესრულებულია სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო პროგრამული კომპლექსის „ЛИРА-SAPR 18˜--ის გამოყენებით (ლიცენზიის № 932989348). საანგარიშო დატვირთვები შერჩეულია საქართველოში მოქმედი სტანდარტებით. შენობის კონსტრუქციული სისტემა გაანგარიშებულია დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე. არსებული შენობის სამგანზომილებიანი საანგარიშო ციფრული მოდელი გაანგარიშებულ იქნა შენობის დაპროექტებისდროინდელი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით: შენობაზე მოქმედი დატვირთვები აღებულ იქნა სამშენებლო ნორმებისა და წესების - ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შეირჩა კარკასის მზიდი კონსტრუქციების კვეთები და არმირება: კარკასის მზიდი ელემენტები შესრულებულია ლითონის კონსტრუქციებისგან: სვეტებად შერჩეულია №26k1 ნიშანდების ორტესებრი ნაგლინი პროფილი; მთავარ კოჭებად შერჩეულია №40 ორტესებრი პროფილის ნაგლინი, ხოლო დამხმარე კოჭებად კი №24 ორტესებრი პროფილის ნაგლინი. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია 120 მმ. სისქის, ლითონის პროფფენილებზე მოწყობილი ე.წ. „ლითონრკინაბეტონი“-ს გადახურვის ფილა; სახურავის მზიდ კონსტრუქციებად შერჩეულია: კოჭებად №24 ორტესებრი პროფილის ნაგლინი, ხოლო გრძივებად კი №16 შველერის პროფილის ნაგლინი, რომლებზეც მოწყობილია ლითონის სამშრიანი სახურავის ფენილები, ე.წ. „სენდვიჩპანელები“. კიბისა და ლიფტის შახტისათვის შერჩეულია №24 ორტესებრი პროფილის ნაგლინი და 150X150X4 მმ. განივი კვეთის მქონე მილკვადრატები. კარკასის ელემენტებზე მოწყობილია ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირები ლითონის მილკვადრატებით (განივი კვეთით 100X100X4 მმ), ხოლო ჭიმებად გამოყენებულია Ø22 A240 კლასის ღეროვანი არმატურა. მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი. არმირება განხორციელებულია A500C კლასის არმატურის ღეროებით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დატალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

დ ა ს კ ვ ნ ა:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) №14-ში მდებარე (ს/კ 01.14.05.008.158) საოფისე შენობის რეკონსტრუქციის საფუძველზე შესრულებული პროექტის („შენობის სართულიანობის გაზრდა ორი სართულით“) კონსტრუქციული ნაწილი აკმაყოფილებს საქართველოში ამჟამად მოქმედ სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს და ეძლევა დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/

№ PC 1439/12.04.2021

გვ. 7 – 7 დან

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 მარტი 2021 წ.

ძალაშია
17 იანვარი 2023 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

შპს „პონტიკა" ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
მ. ჭიაურელის ქ. N22
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB –0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) #14-ში მდებარე (ს/კ 01.14.05.008.158) შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ TC 1440/13.04.2021

მომსახურების სფერო: *ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება*

ინსპექტირების დაწყების თარიღი: *27.02.2021*

ინსპექტირების დასრულების თარიღი: *12.04.2021*

დამკვეთი: *შპს „ქიუ ენჯინერინგი" ს/კ 405403077*

საფუძველი: *ხელშეკრულება N: 308/02-21; განაცხადი*

შემსრულებელი ექსპერტი და შემსრულებელის კვალიფიკაცია: რამაზ აფხაძე. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 47 წლის სტაჟით

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) #14-ში მდებარე (ს/კ 01.14.05.008.158) შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

წარმოდგენილი მასალები:

- ✓ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტი"-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, "ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი"-ს საპროექტო დოკუმენტაცია
- ✓ ქ. თბილისში, ჯიქიას #14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სართულის გეგმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია", დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08).
- ✓ ევროპული სტანდარტის ევროკოდი 8-ის მე-3 ნაწილი - ,,შენობების შეფასება და აღდგენა-გაძლიერება", რეალიზებული საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში, 17.03.2010, #268-1.3-4124.
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"
- ✓ „Пособие по проектированию каркасных промзданий для строительства в сейсмических районах" (к СНиП II-7-81) Москва-1984
- ✓ PNT/IB/IP-7.1-20-01-A28 ინსპექტირების პროცედურა

გამოყენებული ხელსაწყოები

- ✓ საზომი რულეტი (დაკალიბრების სერტიფიკატი №GMC-CC-00228/2-20)
- ✓ ლაზერული მანძილმზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა (დაკალიბრების სერტიფიკატი №GMC-CC-00224/2-20);
- ✓ „UTEST-ის ფირმის HT 225A" მოდელის შმიდტის ჩაქუჩი (დაკალიბრების სერტიფიკატი № GE/MI/05-00910-20),

სარჩევი

შესავალი ..... 3 გვ

I. შენობების ვიზუალური გამოკვლევა ..... 4 გვ.

II. მზიდი კონსტრუქციების აპარატურულ ინსტრუმენტალური გამოკვლევის შედეგები..... 6 გვ.

III. კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა-რეკომენდაციები..... 8 გვ.

დანართი №1 ფოტომასალა ..... 10 გვ.

შესავალი

დავალების შესაბამისად ჩატარებულ იქნა ქ. თბილისში, ჯიქიას №14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური და დეტალური გამოკვლევა.

რკინაბეტონის კონსტრუქციები გამოკვლეული იქნა შერჩევითი მეთოდის გამოყენებით მახასიათებელ ლოკაციებში.

ზემოთ აღნიშნული ობიექტის გამოკვლევა განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით:

- ვიზუალური დათვალიერება, ხილული დეფექტების დაფიქსირებით;
- ურღვევი კონტროლის მეთოდით განსაზღვრული იქნა რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლები;
- ასევე ურღვევი კონტროლის მეთოდით იქნა განსაზღვრული რკინაბეტონის კონსტრუქციებში არმატურის დიამეტრები, განლაგების სქემა და ბეტონის დამცავი შრე;
- მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადებული იქნა წინამდებარე ანგარიში.

I. ვიზუალური გამოკვლევა

გამოკვლევის პირველ ეტაპზე მოხდა შენობა-ნაგებობის მზიდი ელემენტების ვიზუალური დათვალიერება.

სარდაფში ვერტიკალური მზიდი ელემენტები „A-E“ ღერძებში (სვეტები, პერიმეტრის კედლები) წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონით, რიგელები და გადახურვის ფილები ქარხნული წარმოებისაა, ანაკრები რკინაბეტონით. ვერტიკალური მზიდი ელემენტების ბეტონში გამოყენებულია მსხვილი შემავსებელი.

ასევე დაფიქსირებულია ბეტონის განშრევებული ზონები არმატურის გაშიშვლებით.

„F-ჟ“ ღერძებში სვეტები და რიგელები მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონით, ხოლო გადახურვის ფილებად გამოყენებულია ქარხნული წარმოების ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები.

„F-ჟ“ ღერძებში მოწყობილი რკინაბეტონის კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, გაფიქსირებულია ბეტონის განშრევებული ზონები და არმატურის კოროზირებული უბნები.

ტიხრებში წარმოდგენილია სილიკატური აგურის წყობით, რომლის გამოყენება დაუშვებელია სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ე)-ქვეპუნქტის თანახმად და საჭიროა ან მათი სრული დემონტაჟი და ახალი ტიხრების მოწყობა თანამედროვე მასალებით, ან არსებული ტიხრების გაძლიერება არმატურის ბადეებით. იხ. დანართი (ფოტო მასალა).

დამკვეთმა წარმოადგინა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ `თბილქალაქპროექტი~-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, `ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი~-ს საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა არსებული კონსტრუქციების შესასწავლად და მათი გეომეტრული ზომების დასაზუსტებლად. არსებული შენობა შედგება ორი, ერთმანეთისაგან ანტისეისმური ნაკერით (`Г/Д~ ღერძებთან) გამოყოფილი სწორკუთხა ნაკვეთურებისგან: პირობითად მარჯვენა ნაკვეთური (“А/Д” ღერძებს შორის) რომელშიც განთავსებული იყო ლაბორატორიულ-საწარმოო განყოფლება და პირობითად მარცხენა ნაკვეთური (“Д/И” ღერძებს შორის) რომელშიც განთავსებული იყო საკონსტრუქტორო

განყოფლება. მთლიანად შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები გეგმაში 78,50X43,56 მ-ია (იხილე სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტი"-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში დამუშავებული, "ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი"-ს "სარდაფის გეგმა". ფურცელი A-1). შენობის მალი ორთავე მიმართულებით 6,0 მ-ია. მარჯვენა ნაკვეთური შვიდსართულიანია (მათ შორის ერთი სარდაფის სართულით), სხვენში მოწყობილი ტექნიკური სართულით. სარდაფის სართულის სიმაღლე 5,70 მ-ია, ხოლო ზედა სართულებისა კი 3,30 მ. ტექნიკური სართულის მინიმალური სიმაღლე (გარე კედელთან) 1,0 მ-ია. ნაკვეთურის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 24,67 მ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ორი ორმარშიანი ანაკრები საფეხურებიანი რკინაბეტონის კიბეებით და სამი სამგზავრო და ერთი სატვირთო ლიფტებით. მარცხენა ნაკვეთური რვასართულიანია (მათ შორის ერთი სარდაფის სართულით, რომელიც გამოყენებულია ავტოსადგომად. თავდაპირველად აღნიშნულ სივრცეში განთავსებული იყო ნახევრადსარდაფი, ე.წ. "ტექნიკური იატაკქვეშეთი", მაგრამ 3-4 წლის წინ სარდაფის დონეზე ჩატარდა რეკონსტრუქცია-გაძლიერების სამუშაოები, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ტექნიკური იატაკქვეშეთის სიმაღლის გაზრდა იატაკის ჩაღრმავების ხარჯზე და არსებული საძირკვლების გაძლიერება), სხვენში მოწყობილი ტექნიკური სართულით. სარდაფის სიმაღლე ამჟამად 3,20 მ-ია, პირველი სართულის 3,60 მ, ხოლო დანარჩენი ზედა სართულებისა კი 3,30 მ. ტექნიკური სართულის სიმაღლე ცვალებადია, შუა ნაწილში მაქსიმალური სიმაღლე 2,59 მ-ია, ხოლო მინიმალური კი 2,35 მ. ნაკვეთურის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 26,54 მ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთი სამმარშიანი ანაკრები საფეხურებიანი რკინაბეტონის კიბით. შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა კარკასულია და შესრულებულია შერეული რკინაბეტონის კონსტრუქციებით, მონოლითური რკინაბეტონის სვეტებითა და ანაკრები რკინაბეტონის რიგელებით. პირველი სართულის (თავდაპირველ პროექტში მოხსენებული როგორც ცოკოლის სართული. ფურცელი K-20) მარჯვენა ნაკვეთურის სართულშუა გადახურვები შესრულებულია 350 მმ. სიმაღლის, ИИ-64 სერიის I-გამოშვების მიხედვით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით, ხოლო მარცხენა ნაკვეთურისა კი 220 მმ. სიმაღლის სპეციალური შეკვეთით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით. დანარჩენ სართულებზე ფილების დეტალურად დათვალიერება ვერ მოხერხდა, რადგანაც ჭერი და კედლები დაფარულია მოპირკეთების ფილებით, მაგრამ "თბილქალაქპროექტი"-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში

შესრულებული ზემოხსენებული პროექტის (ფურცელი K-21) მიხედვით დანარჩენ სართულებზე სართულშუა გადახურვები შესრულებულია 220 მმ. სიმაღლის, "საქსახქალაქმშენი"-ს მიერ ИИСГ-03-02 სერიით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით, ხოლო სხვენში არსებული ტექნიკური სართულის გადახურვა შესრულებულია სახელმწიფო სტანდარტით ГОСТ 9491-60-ით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. ორთავე ნაკვეთურის სახურავი შესრულებულია რბილი, რულონური ბურულით. სახურავის მზიდ კონსტრუქციებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. პირობით -2,100 ნიშნულად მიღებულია პირველი ნაკვეთურის სარდაფის სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 557,590 (იხილე სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტი"-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, "ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი"-ს "ჭრილი 1-1. ფურცელი A-14").

II. მზიდი კონსტრუქციების აპარატურულ ინსტრუმენტალური გამოკვლევის შედეგები

გამოკვლევის შემდეგ ეტაპზე, ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლეული იქნა ცალკეული მზიდი (სვეტები, რიგელები, პერიმეტრის კედლები, გადახურვის წიბოვანი ფილები) კონსტრუქციების, სიმტკიცის მახასიათებლები და დაარმატურების პარამეტრები.

გამოსაკვლევი უბნების შერჩევისათვის, იმის გამო, რომ ჩაქუჩის დარტყმა არ განხორციელებულიყო არმატურაზე, თავდაპირველად განისაზღვრა რკინაბეტონის კონსტრუქციაში არმატურის განლაგების სქემა.

ზემოთ აღნიშნულ კონსტრუქციებში ურღვევი კონტროლის მეთოდით გამოკვლეული ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლების მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილში № 1.

როგორც ცხრილიდან ჩანს ბეტონის სიმტკიცის მახასითებლების მნიშვნელობები რკინაბეტონის კონსტრუქციებში იცვლება დიაპაზონში 30.3 ÷ 42.0 მპა.

ჩვენს მიერ შერჩევითი მეთოდის გამოყენებით გამოკვლეული რკინაბეტონის კონსტრუქციები გავრცელებული იქნა მთელ შენობა-ნაგებობაზე.

„A-E" ღერძებში გადახურვის წიბოვანი ფილები სხვადასხვა ზომებისაა, 0,5 მ და 1.3 მ.

ასევე სხვადასხვა ზომის ღრუტანიანი ფილებია დალაგებული სარდაფის გადახურვაზე „F-J" ღერძებში.

ასევე განსხვავებულია სვეტების პარამეტრები, „A-E" ღერძებში მოწყობილია სვეტები ზომებით, 0.5X0.5 მ, ხოლო „F-J" ღერძებში მოწყობილია როგორც 0.5X0.5 მ ზომის სვეტები, ასევე 0.75X0.75 მ. სვეტები არმირებულია ф 25÷32, AIII კლასის არმტურებით.

#	უბანი	პოზიცია	ბეტონის სიმტკიცე კუმშვაზე მპა				ბეტონის მარკა	ბეტონის კლასი
			R_1	R_2	R_3	$R_{საშ}$		
1	„A-4“	სვეტი	35	33	33	33.7	M370	B25
2	„C-3“		30	34	32	32.0	M285	B20
3	„C-5“		34	35	34	34.3	M330	B25
4	„D-3“		30	33	32	31.7	M280	B22,5
5	„A-5“		29	30	32	30.3	M260	B20
6	„C-2“		33	35	36	34.7	M335	B25
7	„D-2“		34	36	33	34.3	M330	B25
8	„A-E-1-7“	პერიმეტრის კედლები	34	33	36	34.3	M330	B25
9			35	34	36	35.0	M346	B25
10			46	30	44	40.0	M428	B35
11			34	36	34	34.7	M335	B25
12			37	32	33	34.0	M326	B22,5
13			35	35	36	35.3	M350	B25
14	„4-5-C-E“	ქარხნული რიგელები და წიბოვანი ფილები	34	36	36	35.3	M350	B25
15			34	36	40	36.7	M380	B30
16			48	48	30	42.0	M468	B35
17			34	36	36	35.3	M350	B25
18			44	45	36	41.7	M460	B35
19			44	41	36	40.3	M430	B35
20			34	35	36	35.0	M346	B25
21			30	35	32	32.3	M290	B22.5
22			48	35	37	40.0	M428	B30
23			34	45	36	38.3	M410	B30
24			40	35	40	38.3	M410	B30
25			33	32	35	33.3	M310	B22,5

გამოკვლეული კონსტრუქციების ბეტონის კლასი ძირითადად თანხვედრაშია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პროექტის (სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ “თბილქალაქპროექტი”-ს პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავებული, “ტნიისას ლაბორატორიულ-საწარმოო კორპუსი”-ს საპროექტო დოკუმენტაცია ცალკეული ნახაზების სახით) კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით, მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში დაფიქსირებულ ბეტონის კლასთან.

ინსპექტორი: რამაზ აფხაძე

III. კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება

ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) №14-ში მდებარე შენობის (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "ელვა"-ს კვლევითი ინსტიტუტ "ტნიისა"-ს ყოფილი შენობა. შენობა 01/7 საკადასტრო გეგმის მიხედვით) მზიდი კონსტრუქციული ელემენტების დეტალური გამოკვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ: შენობის აგებისდროინდელ ნორმებსა და გამოკვლევისდროინდელ ნორმებს შორის შეუთავსებლობის მიუხედავად, შენობას კარგად აქვს გადატანილი 2002 წლის აპრილის საკმაოდ ძლიერი (ეპიცენტრით ქ. თბილისში) და ასევე 2009 წლის ოქტომბრის მიწისძვრის ზემოქმედებები და მისი კონსტრუქციული ელემენტების არცერთ ხილულ ზედაპირზე არ შეინიშნება რაიმე სახის დაზიანება თუ დეფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) №14-ში მდებარე (მიწის საკადასტრო კოდი 01.14.05.008.158) საოფისე შენობის (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "ელვა"-ს კვლევითი ინსტიტუტ "ტნიისა"-ს ყოფილი შენობა. შენობა 01/7 საკადასტრო გეგმის მიხედვით) თანამესაკუთრე შპს "თენ"-ის საკუთრებაში არსებულ ფართზე განხორციელდეს რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოები ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული და სივრცითი მოდელის კომპიუტერული პროგრამის ანგარიშით გამყარებული პროექტის შესაბამისად.

სადემონტაჟო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის დროს შენობის გარშემო, მთელ პერიმეტრზე, მოეწყოს ხილული გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო თვით სამუშაოები შესრულდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361-ე დადგენილების - "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობა და მზიდუნარიანობა და შესაძლებელი

იქნება მთლიანად შენობის უსაფრთხო ექსპლოატაცია სამუშაოების დასრულების შემდეგაც.

ინსპექტორი: რამაზ აფხაძე

ტექნიკური მენეჯერი: დავით ჯიბლაძე

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ლალი აბუაშვილი

დანართი №1

ფოტომასალა


























2021/3/5 14:42


2021/3/5 14:40


2021/3/5 14:40

2021/3/5 14:40

2021/3/5 14:37

2021/3/5 14:37

2021/3/5 14:38

2021/3/5 14:34


2021/3/5 15:16


2021/3/5 14:40


26
2021/3/5 14:38






2021/3/5 14:05


2021/3/5 14:38

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 მარტი 2021 წ.

ძალაშია
17 იანვარი 2023 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

შპს ” ქიუ ენჯინერინგი ”

კონსტრუქციული დასკვნა

(ანა პოლიტკოვსკაის # 14 , არსებულ შენობაზე დაშენება)

ქ. თბილისი 2021 წელი 10 თებერვალი

კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა
თბილისი 10.02.2021

წინამდებარე წარმოადგენს ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქუჩა № 14 მდებარე საოფისე (ყოფილი ტნიისა-ს) შენობაზე ერთი მსუბუქი სართულის დაშენების შესაძლებლობისათვის კონსტრუქციულ დასკვნას.

გასული წლის დეკემბრის თვეში დამკვეთთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე შპს „ქიუ ენჯინერინგი-ს „ სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქუჩა № 14 მდებარე საოფისე (ყოფილი ტნიისა-ს) შენობის ფიზიკური მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით, ასევე ჩატარებული იქნა რიგი კვლევითი სამუშაოები, კერძოდ: მოძიებული იქნა მასალები არქივიდან ესენი არის არსებული შენობაზე კონსტრუქციული და არქიტექტურული პროექტები, მოძიებული იქნა არსებული გეოლოგიური კვლევა, დამატებით ჩატარებული იქნა ახალი გეოლოგიური კვლევა და შენობის მიმდებარედ გაყვანილი იქნა 2 საკვლევი ჭაბურღილი.

დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარებული იქნა კვლევები არსებული კონსტრუქციის ფიზიკური მდგომარეობის შესასწავლად.

არსებული შენობის მოკლე აღწერა:

არქიტექტურული გადაწყვეტა

შენობა გასული საუკუნის 60 იან წლებში არის დაპროექტებული და აშენებული, გეგმაში ის რთული მოხაზულობისაა არსებული შენობის ნოლი ნიშნულის მიბმა აბსოლუტურ ნიშნულთან არის -+0.00=559.69 . ფუნქციური დანიშნულებით კომპლექსი წარმოადგენდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტეს თავისი სამრეწველო ლაბორატორიებით და ამტიპის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციონალური საჭირო სივრცით. კომპლექსისი ძირითადი შენობების გაბარიტული ზომები არის 78.9 მ X 43.96მეტრი. შენობის მალები 6 მეტრიანია, როგორც განივი ასევე გრძივი მიმართულებით. რთული მოხაზულობის გამო შენობას გააჩნია სესიმური ნაკერი Г, Д ღერძების გასწვრივ. ნაგებობა 8 სართულიანია ნოლი ნიშნულის ზემოთ, აქედან ბოლო სართული სასხვენო ტექნიკური სართულად არის დაპროექტებული.

შენობის სიმაღლე ნოლი ნიშნულის დონიდან შეადგენს 26.58 მეტრს , ხოლო სართულების სიმაღლე პირველ სართულზე არის 3.6 ხოლო დანარჩენი სართულები ძირითადად 3.3 მეტრია. შენობის ნაწილში სადაც ფინქციოურად არსებული პროექტის მიხედვით კონდენციონერები იყო განლაგებული სართულის სიმაღლე 5.7 მეტრის ტოლია (1-6/А-Г ღერძებში) .

შენობას გააჩნია სამი კიბის უჯრედი და 4 ლიფტი, ლიფტებიდან ერთი წარმოადგენს სატვირთო ლიფტს. ლიფტის უჯრედები განლაგებილია კომპლექსის შუაში.

ფასადის კედლების შემავსებელს წარმოადგენს 1.55 სმ სიმაღლის 30 სმ სისქის ტუფობეტონის საკედლე პანელები ხოლო მათ შორის ჩასმული არის ფანჯრები, ფანჯრებს შორის სივრცეები შევსებული არის აგურის წყობით .

არქიტექტურული პროექტის მიხედვით კიბის და ლიფტის უჯრედების კედლები შესრულებული არის ბეტონისაგან მარკა- 100 .

გადახურვის და სართულების იატაკის სენდვიჩები ძირითადად 10 სმ სისქისაა აქედან 5 სმ პემზის მოსწორებაა.

არსებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობაში მოწყობილი ტიხრები შერულებული არის 8 სმ სისქის პემზის ბლოკებით.

იხ. ბმული არსებული გეგმები საარქივო მასალებიდან.


















Лабораторные помещения
44/4


Примечание.
46/4


4280
3500
1680
1965
Стояк водопровода
Теплоизоляция конструкции
Участок водосточной трубы
Планировка кровли
Водосборная воронка
Архитектурно-строительная часть
Отопление
Водопровод и канализация
Электрическая часть
Газ
Слаботочные устройства
Автоматика
Технологическая часть
Генеральный директор
Главный инженер
Начальник отдела
Главный архитектор проекта
Главный специалист
Руководитель группы
Инженер
Чертил
Проверил
Н. контр.
Утв.
Стадия
Лист
Листов
Т Р А Г О П Р О Е К Т


ТБИЛГРАЖДПРОЕКТ
Разрез 2-2


Разрез 5-5
Г
В
Б
А


Т БИЛГОРПРОЕКТ
Разрез 1-1
45/4





კონსტრუქციული გადაწყვეტის მიხედვით შენობა განეკუთვნება ასაწყობი ჩარჩოვანი ტიპის კონსტრუქციებს , რომლის მზიდი ელემენტებიცაა:

რ/ბ მონოლითური წერტილოვანი საძირკვლები, რ/ბ მონოლითური სვეტები განივი კვეთით 50X50 სმ , სართულშუა გადახურვის 22 სმ სისქის ღრუტანიანი ფილები , რ/ბ ასაწყობი რიგელები სხვადასხვა გეომეტრიის და განივკვეთის ზომისა და სახურავზე მოწყობილი გადახურვის ასაწყობი წიბოვანი ფილები .

რადგანაც შენობა დაპროექტებულია გასული საუკუნის 60 იან წლებში იმ დროს მოქმედი სეისმური ნორმების შესაბამისად ის გაანგარიშებული არის 7 ბალიან ზემოქმედებაზე . დატვირთვები და ზემოქმედებები აღებული იქნებოდა СНиП II –А.II-62-ის მიხედვით. რთული მოხაზულობის გამო შენობას გააჩნია სესიმური ნაკერი Г, Д ღერძების გასწვრივ.

შენობის დაფუძნების პირობები არსებული გეოლოგიის მიხედვით

საარქივო მასალების მიხედვით მოცემული არის დაფუძნების 2 ვარიანტი, 1 ლენტური საძირკვლები (პროექტი 62 წლით თარიღდება) და მეორე ვარიანტი წერტილოვანი საძირკვლები (ცვლილებების პროექტი 66 წლით თარიღდება), არსებული გეოლოგიური მონაცემების და კონსტრუქციული პროექტის მიხედვით წერტილოვანი საძირკვლები დაფუძნება განხორციელებული არის კლდოვან ქანებზე . გამოყენებული ბეტონის მარკა М-150.

არსებული გეოლოგია







დაფუძნების პირველი ვარიანტი





დაფუძნების მეორე ვარიანტი







დაფუძნების მეორე ვარიანტის არსებობას ამყარებს ის ფაქტი რომ სარდაფის სართულში რომელიც მოგვიანებით იქნა ათვისებული დამკვეთის მიერ ჩანს წერტილოვანი საძირკვლები . იხ ფოტოები







არსებული შენობის სვეტების განივკვეთი ზომები უცვლელია მთელ სიმაღლეზე და კვეთის ზომებია 50X50 სმ . სვეტების არმიებები ყოველ 3 სართულზე იცვლება 8 D 32 AIII, 8 D 28 AIII da 8 D 25 AIII . სვეტებში გამოყენებული ბეტონის მარკა M-200.



სართულშუა გადახურვა დაპროექტებული არის ასაწყობი ღრუტანიანი ფილებით სისქე 22 სმ . ალბომი #1 და #1ა სერია ИИСГ-03-02 დამუშავებულია „საქქალაქმშენი“-ს მიერ , სინკარების მაერკებია ПТК-57-12-5, ПТК-57-12-5,,

+3,65 ნიშნულ\ე 1-9 ღერძებში გამოყენებული არის ინდუსტრიული წიბოვანი გადახურვის ფილები მარკით П1-5, სისქე 25 სმ.

სახურავის გადახურვის წიბოვან ფილებად გამოყენებული არის ფილები ПНС-10, ალბომი ГОСТ 9491-60,





არსებული შენობის ასაწყობი რიგელები სხვადასხვა კვეთის და ფორმის რიგელებია რომლის ძირითადი მუშა არმატურები ქვედა შრეში არის 4 ღერო აქედან 2 D 28 AIII მთლიანი ღეროები არის რომელთა გადაბმა ხდება სვეტის ტანში და არის 2 D 25 AIII დამატებითი არმირება.

რიგელების ზედა ნაწილი არმირდება მონტაჟის შემდგომ სადაც დამატებიT ზედა შრეში გატარებული არის 4 D 28 AIII. იხ არსებული რიგელების არმირებები.






Примечания:
ТБИЛГИПРОЕКТ


Примечания:
ТБИЛГИПРОЕКТ



Примечания:

1. Анкерные закладные детали ригелей должны выполняться в виде отрезков стержней, которые обеспечивают высоту полностью заанкерованного изделия. Допуски по длине изделий и по расстоянию между осями отверстий по торцам ±2мм, по каждому из остальных размеров ±5мм.
2. Защиту на бетонную разглубку изделий сечение 4 Юлт, длиной 4-10-20мм защитный слой 25мм.
3. Спецификацию арматуры каркасов, деталей и цель см. лист К-66.
4. Спецификацию закладных деталей см. листы К-46, К-49, К-50.
5. Стыковые и монтажные накладки ДП-2-34, ДП-4-34 приварить после расстыковки плетей.
6. Швы для плетей ⑤ и ⑦ см.
7. Соединение позиций ⑦ и ⑧ сварным швом см. лист К-66.
8. Выборку ригелей на здание см. лист К-67.

Государственный проектный институт
ГИПРОСПЕЦСТАЛЬКОНСТРУКЦИЯ
Отдел проектирования металлических конструкций
Главный инженер проекта
Главный специалист
Руководитель группы
Ст. инженер
Инженер
Чертил
Рабочий проект
Стадия | Лист | Листов
Р | 1 | 1
Ригели. Общий вид. Спецификация стали. Ведомость элементов. Примечания.
Серия 1.020-1/77 Вып. 1
Инв. № подл. | Подпись и дата | Взам. инв. №



არსებული შენობის ასაწყობი საკედლე პამნელები 1,5 მ სიმაღლის ტუფობეტონის კონსტრუქციაა , რომელიც სვეტებზე მიმაგრებული არის შედუღების მეშვეობით სვეტებზე სპეციალურად მოწყობილ ჩასატანებელ დეტალებზე.





არსებულ შენობაზე მსუბუქი კონსტრუქციის (ერთი მსუბუქი სართული) დაშენების შესაძლებლობის კვლევა

არქიტექტურული გეგმარებითი დავალების შესაბამისად არსებულ კონსტრუქციაზე უნდა განხორციელდეს სასხვენო სართულის მოხსნა და მის ნაცვლად 2 მსუბუქი სართულის დაშენება.
შპს ქიუ ენjინეერინგი-ს სპეციალისტების მიერ ჩატარებული იქნა კველვითი სამუშაოები ციფრულ სამ განზომილებიან მოდელებზე საანგარიშო პროგრამა lira Sapr 2018 ის მეშვეობით. აგებული იქნა 2 საანგარიშო მოდელი, კერძოდ:
1, არსებული შენობის სამ განზომილებიანი საანგარიში ციფრული მოდელი. გაანგარიშება წარიმართა 60 იან წლებში მოქმედი ტექნიკურ ნორმატიული დოკუმენტაციის გათვალისწინებით 7 ბალიან ზემოქმედებაზე . საანგარიშო მოდელში გათვალისწინებული იქნა ის დატვირთვები და ზემოქმედებები რასაც იმ დროინდელი ტექნიკური დოკუმენტაცია ითვალისწინებდა, კერძოდ: დატვირთევბი და ზემოქმედებები აღებული იქნებოდა СНиП II –А.II-62-ის მიხედვით . სესიმური ზემოქმედებები ძველი ნორმის СНиП II –7-81. -ის მიხედვით. საანგარიშო მოდელში არსებული შენობის კვეთები, სიხისტეები და მასალის ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლები აღებული იქნა საარქივო პროექტის მიხედვით. სახსრულად დაყრდნობის პრინციპით მოდელირებული იქნა ღრუტანიანი ასაწყობი გადახურვებიც.
2, არსებულ შენობაზე ერთი არსებული სართულის მოხსნა და 2 მსუბუქი სართულის დაშენების სამ განზომილებიანი საანგარიში ციფრული მოდელი. საანგარიშო მოდელში გათვალისწინებული იქნა ის დატვირთვები და ზემოქმედებები რასაც მოქმედი ტექნიკური დოკუმენტაცია ითვალისწინებდა, კერძოდ: დატვირთევბი და ზემოქმედებები აღებული იქნა ქვეყანაშ მოქმედი СНиП 2,01,07-85*-ის მიხედვით , ხოლო სეისმური ზემოქმედებები ძველი ნორმის СНиП II –7-81. -ის მიხედვით.
საანგარიშო მოდელში არსებული შენობის კვეთები, სიხისტეები და მასალის ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლები აღებული იქნა საარქივო პროექტის მიხედვით. დაშენებული კონსტრუქცია მოდელირებულია არის ღეროვანი ლითონის ნაგლინი პროფილებით სვეტები 20К1 ორტესებრებით, გადახურვების მზიდი კოჭები ლითონის # 40 და #24 ორტესებრებით , გადახურვებზე გრძივებად აღებული არის # 16 შველერები. დაშენებული სართულის იატაკი მოწყობილია კომპოზიტური ფილით (ე.წ. პროფნასტილზე და არმირებული ბეტონი) , მსუბუქი გადახურვა იმოსება10 სმ სისქის ქვა ბამბის სენდვიჩ პანელებით.
პირველ საანგარიშო მოდელში (არსებულის გაანგარიშება) დროებითი დატვირთვები აღებული არის 300*1,3=390 კგ/მ2 დატვირთვები თანახმად СНиП II –А.II-62-ის. ტიხრების და იატაკების მასები აღებული არის საარქივო პროექტში მოცემული ტიპების მიხედვით .
მეორე საანგარიშო მოდელში (არსებულის გაანგარიშება) დროებითი დატვირთვები აღებული არის 200*1,2=240 კგ/მ2 თანახმად СНиП 2,01,07-85*-ის. არსებულისათვის ტიხრების და იატაკების მასები აღებული არის საარქივო პროექტში მოცემული ტიპების მიხედვით . ხოლო დაშენებაზე იატაკების მასა და შეკიდული ჭერები აღებული არის საანგარიშო მნიშვნელობა 195 კგ/მ2.
დაშენებულ სართულებზე მოეწყობა მსუბუქი ტაბაშირმუყაოს კედლები რომლის გასაშუალოებული დატვირთვის საანგარიშო მნიშვნელობა გადახურვაზე შეადგენს 100კგ/მ2.
დაშენებული მსუბუქი კონსტრუქციები იმოსება10 სმ სისქის ქვა ბამბის სენდვიჩ პანელებით რომლის მასაც კვადრატულ მეტრზე არ აღემატება 30 კგ.-ს.
დამკვეთის თხოვნით გადახურვაზე გათალისწინებული არის მზის პანელების მოწყობის მასებიც კვადრატულზე დაახლოებით 100 კგ/მ2.
აღსაღნიშნავია ის ფაქტიც რომ დღეის მდგომარეობით ბევრ ადგილას მოხსნილი არის თავდაპირველად მოწყობილი გამყოფი პემზის 8 სანტიმეტრი სისქის ტიხრები და ისინი უმეტეს წილად ჩანაცვლებული არის გიფსოფილის მსუბუქი ტიხრებით.
იხ ფოტო



საბოლოო დასკვნა

საანგარიშო მოდელის შედეგების შედარება მოცემული არის ცხრილის სახით (იხ. ბმული ცხრილი) რისი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ არსებულ შენობაზე ერთი სართულის მოხსნა და მის ნაცვლად 2 მსუბუქი სართულის (ლითონის კონსტრუქციებით) დაშენიბა არ ცვლის, არ აუარესებს არსებული კონსტრუქციის მზიდუნარიანობას სტატიკური და დინამიკური დატვირთვის შემთთხვევაშიც კი , პირიქით შენობის ერთი სართულის მოხსნა და შენობის ფუნქცუიური დატვირთვის შეცვლამ (ფუნქციურად კვლევითი ინსტიტუტი გადაკეთდა საოფისე შენობად) შეცვალა დატვირთვები ნორმების შესაბამისად და ისინი შემცირდა 7% ფარგლებში . იხ. ანალიზის ცხრილი

შედეგების ანალიზის ცხრილი				
	არებულის ანგარიშები ძველი სეისმური ნორმებით		არსებულზე დაშენების გაანგარიშება ძველი სესიმური ნორმებით	
ბლოკის და ფაილის სახელები	ბლოკი 1/ Jikia14r1-1arsebuli	ბლოკი 2/ Jikia14r2arsebuli	ბლოკი 1/ jikia14r1dashenebaSnip 81	ბლოკი 2/jikia14r12dashenebaSnip 8
(3 სეისმიკა PCH-2)გადაადგილებები სესიმიკაზე X მიმართულება , მმ	13.2	14	18.2	30.4
(3 სეისმიკა PCH-2) გადაადგილებები სესიმიკაზე Y მიმართულება, მმ	8.06	4.91	10.8	12.1
(4 სეისმიკა PCH-3)გადაადგილებები სესიმიკაზე X მიმართულება , მმ	4.84	11.9	3.64	14.9
(4 სეისმიკა PCH-3) გადაადგილებები სესიმიკაზე Y მიმართულება, მმ	19	30.5	31.3	36.1
პერიოდები პირველი სამი ფორის მიხედვით, წმ	1.045; 0.9948; 0.8827	1.536; 1.1839; 1.0141	1.15; 1.0318; 0.934	1.543; 1.1873; 1.0306
ძალვები სარდაფის სართულის სვეტებში PCH-1 N, My, Mz	365 ტ, 6.77 ტ*მ, 4.94 ტ*მ	406 ტ, 6.31ტ*მ, 6.3ტ*მ	358ტ, 6.37ტ*მ, 4.65ტ*მ	381ტ, 5.56ტ*მ, 5.51ტ*მ
ძალვები სარდაფის სართულის სვეტებში PCH-2 N, My, Mz	378 ტ, 11.6 ტ*მ, 5.86 ტ*მ	406 ტ, 15.9 ტ*მ, 6.67 ტ*მ	371 ტ, 11.2 ტ*მ, 5.03 ტ*მ	381ტ, 15.5ტ*მ, 6.36ტ*მ
ძალვები სარდაფის სართულის სვეტებში PCH-3 N, My, Mz	383 ტ, 7.5 ტ*მ, 9.31 ტ*მ	406 ტ, 10.1 ტ*მ, 21.5 ტ*მ	361ტ, 6.26 ტ*მ, 8.44ტ*მ	381ტ, 9.16ტ*მ, 20.2ტ*მ
